

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №03

2017 წლის 27 მარტი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №21 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №21 დადგენილებაში (სსმ 01.01.2017 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.131.016193) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულხან ოქროპირიძე

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ლარი)

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	25106249	23310495	1795754	31930351	30439655	1490696	32 605 500	32 605 500	0
გადასახადები	2078881	2078881	0	3326185	3326185	0	5 050 000	5 050 000	0
გრანტები	20294292	18498538	1795754	26430659	24939963	1490696	25 634 300	25 634 300	0
სხვა შემოსავლები	2733076	2733076	0	2173507	2173507	0	1 921 200	1 921 200	0
ხარჯები	14097843	13691706	406137	14848765	14848085	680	12 466 895	12 466 895	0
შრომის ანაზღაურება	2207758	2207758	0	6499518	6499518	0	6 401 959	6 401 959	0
საქონელი და მომსახურება	2741736	2741021	715	3415416	3415416	0	3 718 780	3 718 780	0
პროცენტი	383462	383462	0	360572	360572	0	314 458	314 458	0



სუბსიდიები	6517103	6517103	0	517217	517217	0	330 600	330 600	0
გრანტები	587050	587050	0	250000	250000	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	964443	964443	0	1272409	1272409	0	820 102	820 102	0
სხვა ხარჯები	696291	290869	405422	2533633	2532953	680	880 996	880 996	0
საოპერაციო სალდო	11008406	9618789	1389617	17081586	15591570	1490016	20 138 605	20 138 605	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	15738359	14348742	1389617	19133714	17643698	1490016	21 274 165	21 013 729	260 436
ზრდა	15924926	14535309	1389617	19133714	17643698	1490016	21 274 165	21 013 729	260 436
კლება	186567	186567	0	0	0	0	0	0	0
მთლიანი სალდო	-4729952	-4729952	0	-2052128	-2052128	0	-1 135 560	-875 124	-260 436
ფინანსური აქტივების ცვლილება	-5240048	-5240048	0	-2993523	-2993523	0	-1 963 983	-1 703 547	- 260 436
ზრდა	0	0	0	250000	250000	0	0	0	0
ვალუტა, დეპოზიტები	0	0	0	0	0	0	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0	250000	250000	0	0	0	0
კლება	5240048	5240048	0	3243523	3243523	0	1 963 983	1 703 547	260 436
ვალუტა, დეპოზიტები	5240048	5240048	0	3243523	3243523	0	1 963 983	1 703 547	260 436
ვალდებულებების ცვლილება	-510096	-510096	0	-941395	-941395	0	-828 423	-828 423	0
ზრდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
კლება	510096	510096	0	941395	941395	0	828 423	828 423	0

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	25292816	23497062	1795754	31930351	30439655	1490696	32605500	32605500	0
შემოსავლები	25106249	23310495	1795754	31930351	30439655	1490696	32 605 500	32 605 500	0
არაფინანსური აქტივების კლება	186567	186567	0	0	0	0	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	0	0	0	0	0	0



ვალდებულებების ზრდა	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადასახდელები	30532865	28737111	1795754	35173874	33683178	1490696	34569483	34 309 047	260 436
ხარჯები	14097843	13691706	406137	14848765	14848085	680	12 466 895	12 466 895	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	15924926	14535309	1389617	19133714	17643698	1490016	21 274 165	21 013 729	260 436
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0	250000	250000	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	510096	510096	0	941395	941395	0	828 423	828 423	0
ნაშთის ცვლილება	-5240048	-5240048	0	-3243523	-3243523	0	-1963983	-1703547	-260436

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 32 605 500 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	25106249	23310495	1 795 754	31 930 351	30 439 655	1 490 696	32 605 500	32 605 500	0
გადასახადები	2 078 881	2 078 881	0	3 326 185	3 326 185	0	5 050 000	5 050 000	0
გრანტები	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 430 659	24 939 963	1 490 696	25 634 300	25 634 300	0
სხვა შემოსავლები	2 733 076	2 733 076	0	2 173 507	2 173 507	0	1 921 200	1 921 200	0

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5 050 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
გადასახადები	2 078 881	3 326 185	5 050 000
საშემოსავლო გადასახადი		1 500 000	1 150 000
ქონების გადასახადი	2 078 881	1 826 185	3 900 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 022 194	1 045 500	3 545 500
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	586 850	426 185	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	67 853	30 500	30 500
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	60 561	40 000	40 000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	341 422	284 000	284 000



ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 25 634 300 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	20 294 292	18498538	1795754	26 430 659	24 939 963	1 490 696	25 634 300	25 634 300	0
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 430 659	24 939 963	1 490 696	25 634 300	25 634 300	0
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	7 198 700	7 198 700	0	5 868 400	5 868 400	0	4 894 300	4 894 300	0
სპეციალური ტრანსფერი	2 142 257	346 503	1 795 754	3 253 144	1 762 448	1 490 696	0	0	0
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 795 754	0	1 795 754	1 490 696	0	1 490 696	0	0	0
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	346 503	346 503	0	1 762 448	1 762 448	0	0	0	0
კაპიტალური ტრანსფერი	10 953 335	10 953 335	0	17 309 115	17 309 115	0	20 740 000	20 740 000	0
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	10 953 335	10 953 335	0	17 309 115	17 309 115	0	20 740 000	20 740 000	0

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1921200. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 733 076	2 173 507	1 921 200
შემოსავლები საკუთრებიდან	1 085 398	800 762	469 580
პროცენტები	801 332	550 000	169 580
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	801 332	550 000	169 580
რენტა	284 066	250 762	300 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	35 641	50 000	50 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	248 425	200 762	250 000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	427 853	350 000	385 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	396 738	320 000	350 000



სანებართვო მოსაკრებელი	59 015	40 000	60 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	59 015	40 000	60 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	107	0	0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	52 358	0	0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	285 259	280 000	290 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	31 115	30 000	35 000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	31 115	30 000	35 000
სანქციები (ჯარიმები და საურაგები)	1 026 616	850 000	900 000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	193 210	172 745	166 620
მ/შორის შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან	193 210	166 620	166 620
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი		6 125	

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12 466 895 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	14 097 843	13 691 706	406 137	14 848 765	14 848 085	680	12 466 895	12 466 895	0
შრომის ანაზღაურება	2 207 758	2 207 758	0	6 499 518	6 499 518	0	6 401 959	6 401 959	0
საქონელი და მომსახურება	2 741 736	2 741 021	715	3 415 416	3 415 416	0	3 718 780	3 718 780	0
პროცენტი	383 462	383 462	0	360 572	360 572	0	314 458	314 458	0
სუბსიდიები	6 517 103	6 517 103	0	517 217	517 217	0	330 600	330 600	0



გრანტები	587 050	587 050	0	250 000	250 000	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	964 443	964 443	0	1 272 409	1 272 409	0	820 102	820 102	0
სხვა ხარჯი	696 291	290 869	405 422	2 533 633	2 532 953	680	880 996	880 996	0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 21 274 165 ლარის ოდენობით, მათ შორის.

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 21 274 165 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	16 186	16 186	0	59 144	59 144	0	4 944	4 944	0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1 353	1 353	0	13 050	13 050	0	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12 842 330	11 452 713	1 389 617	16 070 355	14 580 339	1 490 016	19 347 485	19 087 049	260 436
განათლება	2 410 692	2 410 692	0	2 280 607	2 280 607	0	1 720 762	1 720 762	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	652 365	652 365	0	710 558	710 558	0	192 724	192 724	0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 000	2 000	0	0	0	0	8 250	8 250	0
ჯამი	15 924 926	14 535 309	1 389 617	19 133 714	17 643 698	1 490 016	21 274 165	21 013 729	260 436

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით,

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი



			ტრანსფერები			ტრანსფერები			ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	186 567	186 567	0	0	0	0	0	0	0
ძირითადი აქტივები	186 567	186 567	0	0	0	0	0	0	0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა **33 741 060** ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით.

(ლარი)

ფუნქც. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 476 597	2 476 597	0	3 542 482	3 542 482	0	2 520 696	2 520 696	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 093 135	2 093 135	0	2 555 082	2 555 082	0	2 204 618	2 204 618	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 938 726	1 938 726	0	2 139 315	2 139 315	0	1 905 525	1 905 525	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	154 409	154 409	0	415 767	415 767	0	299 093	299 093	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	383 462	383 462	0	986 590	986 590	0	314 458	314 458	0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	0	0	0	0	0	0	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0	810	810	0	1 620	1 620	0
702	თავდაცვა	112 540	112 540	0	132 992	132 992	0	102 584	102 584	0
7021	შეიარაღებული ძალები	112 540	112 540	0	132 992	132 992	0	102 584	102 584	0



703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	651 545	651 545	0	0	0	0	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	651 545	651 545	0	0	0	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 731 907	3 731 907	0	4 743 028	4 743 028	0	8 617 276	8 617 276	0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	3 223	3 223	0	11 502	11 502	0	2 125	2 125	0
70421	სოფლის მეურნეობა	3 223	3 223	0	11 502	11 502	0	2 125	2 125	0
7045	ტრანსპორტი	3 522 009	3 522 009	0	4 500 785	4 500 785	0	8 418 721	8 418 721	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 522 009	3 522 009	0	4 500 785	4 500 785	0	8 418 721	8 418 721	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	206 675	206 675	0	230 741	230 741	0	196 430	196 430	0
705	გარემოს დაცვა	5 248 377	5 248 377	0	3 608 302	3 608 302	0	5 460 378	5 460 378	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 436 443	1 436 443	0	1 498 956	1 498 956	0	2 738 504	2 738 504	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3 811 934	3 811 934	0	2 109 346	2 109 346	0	2 721 874	2 721 874	0
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	7 429 627	6 039 295	1 390 332	12 451 003	10 960 307	1 490 696	9 691 591	9 431 155	260 436
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 239 046	1 239 046	0	2 324 703	2 324 703	0	1 160 516	1 160 516	0
7063	წყალმომარაგება	3 333 942	3 333 942	0	7 314 256	7 314 256	0	6 816 052	6 816 052	0
7064	გარე განათება	714 853	714 853	0	742 100	742 100	0	863 590	863 590	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2 141 786	751 454	1 390 332	2 069 944	579 248	1 490 696	851 433	590 997	260 436
707	ჯანმრთელობის დაცვა	196 801	196 801	0	233 848	233 848	0	460 394	460 394	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	196 801	196 801	0	233 848	233 848	0	460 394	460 394	0



708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 728 045	3 728 045	0	2 657 438	2 657 438	0	1 407 229	1 407 229	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 422 424	2 422 424	0	1 705 989	1 705 989	0	566 404	566 404	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 177 895	1 177 895	0	810 162	810 162	0	721 100	721 100	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0	0	0	0	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	127 726	127 726	0	141 287	141 287	0	119 725	119 725	0
709	განათლება	5 090 665	5 090 665	0	5 235 336	5 235 336	0	4 958 562	4 958 562	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 963 763	1 963 763	0	2 293 726	2 293 726	0	2 560 000	2 560 000	0
7092	ზოგადი განათლება	3 169	3 169	0	0	0	0	0	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	3 169	3 169	0	0	0	0	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	3 123 733	3 123 733	0	2 941 610	2 941 610	0	2 398 562	2 398 562	0
710	სოციალური დაცვა	1 356 665	951 243	405 422	1 628 050	1 628 050	0	522 350	522 350	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	179 996	179 996	0	134 000	134 000	0	227 100	227 100	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 176 669	771 247	405 422	1 494 050	1 494 050	0	295 250	295 250	0
	მთლიანი ხარჯები	30 022 769	28 227 015	1 795 754	34 232 479	32 741 783	1 490 696	33 741 060	33 480 624	260 436

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო .

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 1 135 560 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-828 423) ლარის ოდენობით.



მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები

სპორტული, კულტურული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1.1. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების რეაბილიტაცია, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების და ტროტუარების მოწყობას, ქუჩების მოასფალტებას, დეკორატიული ფილებით მოპირკეთებისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს. , კერძოდ, დაგეგმილია: ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ტროტუარების დარჩენილი ნაწილის მოწყობა, როგორცაა ვერულიძის ქუჩის გადაკვეთიდან აღმაშენებლის პირველი შესახვევის გადაკვეთამდე (მარჯვენა და მარცხენა მხარეს). დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – პროექტის I ეტაპი, რომლის ფარგლებში მოხდება ქ. ქობულეთში, სადგურიდან გორგილაძის ქუჩის კვეთამდე არსებული ამორტიზებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და ახალის მოწყობა, ასევე მოხდება დაზიანებული ასფალტის საფარის



აღდგენა. ქვეპროგრამით აგრეთვე გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ცენტრალურ სასაფლაომდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობის მე-2 ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოხდება რუსთაველის ქუჩის (სასაფლაოს უბნის) სავალი გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების დეკორატიული ფილებით მოპირკეთება, მოეწყობა სანიაღვრე სისტემა. დაგეგმილია ქ. ქობულეთში, გელაურის უბნის კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებში მოხდება ვაჟა ფშაველას; პოპოვისა და პუშკინის ქუჩების მოწესრიგების სამუშაოები, გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში, სასაფლაოსთან აღმაშენებლის II შესახვევის რეაბილიტაცია, სადაც მოეწყობა ტროტუარები და სავალი გზის ნაწილი დეკორატიული ფილებით. დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევის კეთილმოწყობა, რუსთაველის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის, გაზკანტორის და ყოფილი სანდასუფთავების) შესასვლელის კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებშიც მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა; სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტო/ბეტონი, მოეწყობა ტროტუარი დეკორატიული ფილებით და შშმ პირებისთვის მოეწყობა პანდუსები და სპეციალური ბილიკი. ქვეპროგრამით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოკამერების შეძენა/მონტაჟი, რომლის ფარგლებშიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება სათვალთვალო ვიდეო კამერები, სექციური რადარები და ზოგადი ხედვის კამერები. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირომდე გადასასვლელების კეთილმოწყობა, კერძოდ: აღმაშენებლის გამზირის №660-ის მოპირდაპირედ, ეკო-პლიაჟის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა; აღმაშენებლის გამზირის №514-ის, №520-ის, №580-ის და №620-ის მოპირდაპირედ – განხორციელდება გადასასვლელების კეთილმოწყობა. ქვეპროგრამით დაგეგმილია ქ. ქობულეთში ნინოშვილის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებშიც მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, სავალი გზის სავალ ნაწილზე დაიგება დეკორატიული ფილები და ტროტუარები მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით. დაგეგმილია ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ჩიხი №786 ბ-ს მიმდებარედ (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობა, კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოები, ტროტუარების მოპირკეთება დეკორატიული ფილებით და სავალი გზის სავალი ნაწილზე ასფალტო – ბეტონის საფარის მოწყობა. დაგეგმილია ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ჩიხი №644-ის მიმდებარედ (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები, სადაც მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, ხოლო სავალი გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტო-ბეტონის საფარი. დაგეგმილია ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ტროტუარებთან მისასვლელი შემადგენლების მოწყობის სამუშაოები; აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება ხელმისაწვდომი გარემო შშმ პირებისათვის.

2.1.2. ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თამარ მეფის სანაპიროზე დაზიანებული პარაპეტების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

2.1.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში განსათავსებლად მეტალოკონსტრუქციის მოსაცდელის შეძენა-მონტაჟის სამუშაოებს, მეტალოკონსტრუქციის გამჭვირვალე მოსაცდელის განთავსდება ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე და ასევე ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსაცდელის (სოფლებში 11 ერთეული ახალი და ერთი ერთეული არსებული მოსაცდელის და ქ. ქობულეთში მტს და კარიერის დასახლებაში აგურის მოსაცდელის (ორი ერთეული)) მოწყობა/რეაბილიტაცია, კერძოდ: სოფელ წყავროკაში ერთი ერთეული ახალი მოსაცდელი, სოფელ ალაშხარში ორი ერთეული მოსაცდელი, სოფელ ჭახათში ერთი ერთეული მოსაცდელი, სოფელ ხალაში ერთი ერთეული; სოფელ ჩაისუბანში ორი ერთეული; სოფელ ქვედა აჭყვაში ორი ერთეული და სოფელ გვარაში ორი ერთეული მოსაცდელის მოწყობა, სოფ. ქაქუთის ცენტრში კი არსებული მოსაცდელს ჩაუტარდება რეაბილიტაცია და ქ. ქობულეთში მტს და კარიერის დასახლებაში ახალი აგურის მოსაცდელი მოეწყობა. ქვეპროექტით განხორციელდება აგრეთვე ქალაქ ქობულეთში მოსაცდელის ირგვლივ ბეტონის დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოები.

2.1.4. მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა

და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება) (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მდინარე დეხვასა და მდინარე კინტრიშის კალაპოტების გასწორხაზოვნების სამუშაოების ჩატარებას.

2.1.5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ, ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების” მიერ.

2.1.6. სასოფლო გზების მოშანდაკების მიზნით ფრაქციული ღორღის შეძენა (პროგრამული კოდი 03 01 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო გზების მოწესრიგებისათვის დაზიანებული საფარის მოშანდაკების სამუშაოების ჩატარების მიზნით ფრაქციული ღორღის შეძენას.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვისა და ფასადის მოწესრიგების სამუშაოები, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, ნაგავსაყრელი ტერიტორიის მოწესრიგება, წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები, გადაიხურება 20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი., კერძოდ: (ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ქ №1, აბაშიძის №2 და №4 სახლები, ლტოლვილთა საცხოვრებელი სახლი, ყოფილი ჯარების შენობა, თავისუფლების ქუჩა №75 ში მდებარე, გელაურის დასახლებაში კაიკაციშვილის №11-ში მდებარე, სოფელ ზენითში ალამბრის მეურნეობის მრავალბინიანი სახლი, დაბა ოჩხამურში ტბელ აბუსერიძის №19, თამარ მეფის №1-ბ, ყაზბეგის №9, წერეთლის №3 და №8 სახლები, ხოლო ჯიხანჯურში- რუსთაველის ქუჩა №4-ში მდებარე სახლი; სოფ ციხისძირში №2-ა, №16 და №34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, დაბა ჩაქვში აღმაშენებლის ქუჩა №12 და №27-ში მდებარე, ჩიხი №3 სახლი №4 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები. ქვეპროგრამით დაგეგმილია აგრეთვე ქ. ქობულეთში აბაშიძის ქ. №12-ში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის ფერდობისათვის პროფილირებული ფერადი თუნუქისა და სხვა მასალის შეძენა;

2.2.2. გარე განათების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელის შეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4900 ზე მეტი წერტის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერგიის



ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა ეკონომიური გარე განათების წერტილები ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო ოაზისამდე და განხორციელდება გარე განათების სამუშაოები მის მიმდებარე ტერიტორიებზეც.

2.2.3. მუნიციპალიტეტის სანიტარიული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მაწანწალა ცხოველების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაჭერილი ცხოველების გაუნებელყოფა. გათვალისწინებულია სანდასუფთავებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენა (6 ერთეული), დაიგეგმა ლითონის, გალვანიზირებული ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, რასაც განხორციელებს ააიპ – ქობულეთის სანდასუფთავება. დაგეგმილია ჩოლოქის დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია.

2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ააიპ – ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ქალაქ ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელვას წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის (II ეტაპი) სამუშაოები; სოფელ ციხისძირის წყალსადენზე დებეტის გაზრდის სამუშაოები; სოფელ დაგვას წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს თემში, ზედა აჭყვამი წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარისა და ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია (II ეტაპი). დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სატუმბო სადგურებისათვის 7 ერთეული ტუმბოს შეძენა/მონტაჟი. ქვეპროგრამის ფარგლებში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით იგეგმება ქ. ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე ახალი ჭაბურღილების (ოთხი ერთეული) მოწყობა და დაბა ოჩხამურში ორი ერთეული სასმელი წყლის საქაჩი ტუმბოს მოწოდება-მონტაჟი. დაგეგმილია სოფელ ქვედა აჭყვამი არსებული წყლის რეზერვუარისათვის ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩიდან (№167-ის მიმდებარედ) თამარ მეფის ქუჩის გადასავლელზე წყალსადენის სისტემის მოწყობა. დაგეგმილია ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე სასმელი წყლის (სოკოებით) ფანტანის მოწყობის სამუშაოები.

ქვეპროგრამით დასრულდება წყალმომარაგების ის ინფრასტრუქტურული პროექტები რომლის დასრულებაც ვერ განხორციელდა 2016 წელს, კერძოდ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა, ქაქუთის წყალსადენის სისტემის მოწყობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (პირველი ეტაპი სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის) მოწყობა, ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება).

ქვეპროგრამით გრძელდება ააიპ – ქობულეთის სოფლის წყალის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების



ქვეპროგრამით გრძელდება შპს „ქობულეთის წყალის“ სუბსიდირება მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ხარჯის დაფარვის მიზნით.

2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპიროზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, აგრეთვე ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქ ქობულეთში, კარიერის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების (III ეტაპი) დაფინანსება. დაგეგმილია ქ. ქობულეთში კინტრიშის I სანაპიროს საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომლის ფარგლებში განხორციელდება ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და დაერთება გელაურში არსებულ სატუმბო სადგურზე. ასევე პროექტის ფარგლებში მოხდება ამორტიზებული შიდა საკანალიზაციო მაგისტრალის შეცვლა და მიმდები ჭების მოწყობა, რომლის დაერთება მოხდება ცენტრალურ მაგისტრალზე; კერძოდ: ქ. ქობულეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კომახიძის №15, №13; აღმაშენებლის №1, №116, რუსთაველის №140, №140ა, №140ბ (კორპუსი 1, 2, 3), №160ა, 162გ; აბაშიძის №2, №4, №6) ეზოებში. ქალაქ ქობულეთში "მტს" დასახლებაში (კლდიაშვილის ქუჩაზე დარჩენილი ნაწილის) ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, დაგეგმილია ქ. ქობულეთში ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობისა და ქ. ქობულეთში მემედ აბაშიძის №82 -ის მიმდებარედ ღია სანიაღვრე არხის შეცვლა დახურული სანიაღვრე სისტემით და დაბა ჩაქვში, ბეჟანიძის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობას.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების კეთილმოწყობითი სამუშაოები და მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1. სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქ ქობულეთში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების რეაბილიტაცია, კერძოდ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია (9 აპრილის, აღმაშენებლის №290-ის მოპირდაპირედ, ლესელიძის ქუჩის) და ახალი სკვერის (აღმაშენებლის გამზირი 700-ის მოპირდაპირედ) მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №99-ში მდებარე არსებული სკვერის რეაბილიტაცია, არსებულ სკვერში მოხდება ბილიკების მოწყობა დეკორატიული ფილებით; შეიცვლება ბორდიურები; მოეწყობა მწვანე საფარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკვერში განლაგებულ სკამებს, ასევე ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ მუხაესტატეში არსებულ სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა და დაბა ჩაქვში, მე-7 რაიონში საბავშვო ატრაქციონების და მიმდებარე ტერიტორია მოეწყობა მწვანე საფარით და მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თამარ მეფის სანაპიროზე და არსებული სკვერებისათვის საპარკე სკამების შეძენა.

2.3.2. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქ. ქობულეთში რუსთაველის ქ. №26-ში მდებარე შენობის (მუნიციპალური უფასო სასადილო) სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაგეგმილია შენობის შიგნით ტიხრების მოწყობა, მოხდება სველი წერტილების რეაბილიტაცია; კერამიკული ფილების მოწყობა და ნაწილობრივ შეიცვლება კარ-ფანჯრები; ასევე დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოების და ამბულატორიის შენობის (სოფელ ბობოყვანთში) რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ საპირფარეშოებს; შეიცვლება წყალგაყვანილობა, ხოლო ამბულატორიის შენობაში მოწესრიგდება სველი წერტილები, ასევე დაგეგმილია სამღებვრო სამუშაოების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ოთახების სარემონტო სამუშაოები.



2.4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შეძენა. აგრეთვე დასრულდება 2016 წლის გარდამავალი ღონისძიებაც.

2.5. ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამით დასრულდება ინფრასტრუქტურული პროექტი რომლის დასრულებაც ვერ განხორციელდა 2016 წელს, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

2.6. საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება როგორცაა სადეზინფექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2.7. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

2.8. სხვადასხვა სანიტარიულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 08)

ტურიტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება, ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების, კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2.9. „მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა (პროგრამული კოდი 03 10)

მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადების მონიტორინგისა და კატასტროფების, დაავადებების რისკის შემცირებისა და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი ვალდებულია იღებს უზრუნველყოფს ერთობლივი პროექტის თანადაფინანსება და ამ მიზნით გაიღებს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს. პროგრამა დაიწყო 2015 წელს და დასრულდება 2017 წლის მარტის თვეში. ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს თანახმად ხელშეკრულებისა 2016 წლის პროგრამის „ქალთა ოთახის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლის დაქირავების ხარჯებს.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.



3.1.1. ააიპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 2700 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს.

3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამით გათვალისწინებულია ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა: სოფელ ჩაისუბანში საბავშვო ბაღის მოწყობა, აჭყვისთავის საბავშვო ბაღის მოწყობა და ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარში, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, პროექტის ფარგლებში მოხდება ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, ბაღის ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურისა და სოფელ დაგვას საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, ბაღის ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები და შემოიღობება. დაგეგმილია დაბა ჩაქვში აღმაშენებლის №28-სა და გელაურის დასახლებაში არსებული საბავშვო ბაღის გაზიფიცირება.

ქვეპროგრამით დასრულდება ის ინფრასტრუქტურული პროექტი რომლის დასრულებაც ვერ განხორციელდა 2016 წელს, კერძოდ, დაგვას საბავშვო ბაღის მოწყობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4. .1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ააიპ – „ფრენბურთის, ხელბურთის, კალაძურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი“.
- ააიპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1. ააიპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში სარაგბო კლუბის დაფინანსებას., კერძოდ სარაგბო კლუბი “პონტოს“ მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.1.4. სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ჩაქვში (აჭარის ქუჩაზე და აღმაშენებლის №38-ის მიმდებარედ) არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში შემოიღობება, მოეწყობა ხელოვნური მწვანე საფარი და გარე განათება. ქვეპროგრამით დაგეგმილია სოფელ ქაქულეთში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, მოედნის შემოღობვა და ნაწილობრივ ბუნებრივი მწვანე საფარის შეცვლა და ქ. ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში არსებული სათამაშო მოედნისა და არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში მოხდება არსებულ მოედნის შემოღობვა და ბავშვთა სათამაშო მოედანზე ხელოვნური საფარის შეცვლა.

4.1.5. ააიპ – „ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი“ (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ააიპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი დააფინანსებს 2017 წლის პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს. სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ. ქობულეთის სკოლები.

4.2.2. ააიპ – ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი რომელიც შედგება საბიბლიოთეკო და მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, მასში გაერთიანებულია სასოფლო კულტურული დაწესებულებები, შესაბამისად, განყოფილებებში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური, რიტმული ცეკვების „ახალი რიტმები“ ჯგუფები და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“. ახალგაზრდული ანსამბლი ახალი ხმები და სასოფლო კლუბებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სადაც სულ გაერთიანებულია ორასამდე ახალგაზრდა. პროგრამა აფინანსებს კულტურის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.2.3. ააიპ – ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)



მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული პარკების მიმდინარე მოვლა-შენახვისა და საკურორტო ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით დააფინანსებს ააიპ – ქობულეთის პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

4.2.4. გურამ თამაზაშვილის სახელობის ააიპ – ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“ (პროგრამული კოდი 05 02 04)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სადაც ახალგაზრდა თაობებში კულტურული აღზრდისა და ეროვნული ცეკვების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ანსამბლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს.

4.2.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და მუნიციპალიტეტის სტუმრების დაინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულები და სხვა. პროგრამით განხორციელდება ტურიზმის კვირეულისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები, მოხდება ტურისტული სარეკლამო მასალების მომზადება, პროგრამით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა და პროექტებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის ხელშეწყობა, ხელი შეეწყობა ცნობილი და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციას, შესაძლებელი გახდება გენდერული თანასწორობის დღის, შშმ პირების უფლებათა დაცვის დღის და სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა.

4.2.6. ააიპ – ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი, რაც ემსახურება ქობულეთის როგორც საკურორტო და ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის განვითარებასა და პოპულარიზებას. მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები რომლებიც ადგილობრივი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს, საგამოფენო დარბაზი წლის განმავლობაში მასპინძლობას უწევს არამარტო ადგილობრივ არამედ უცხოელ დამთვალიერებლებსაც, ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

